სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 17ოქტომბრის N38 ოქმით (ცვლილება 2018 წლის 12 თებერვლის N1 ოქმი) დამტკიცებული შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილების შესახებ:

1. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) აუდიტორული დასკვნის/ანგარიშის/მოხსენების შედგენა და რექტორისათვის/ადმინისტარციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;";

2. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;";

3. დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) ითანამშრომლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვა უწყებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.";

4. ამოღებულ იქნას დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი;

5. დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 6. შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი.
2. სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე მის სტრუქტურაში შედის სამსახურის მონიტორინგის განყოფილება.";

6. დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს/ანგარიშებს/მოხსენებებსა და რეკომენდაციებს;“;

7. დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ო) გაწეული საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;“;

8. დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. სამსახურისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის განყოფილების უფროსი, ექსპერტი, აუდიტორი, მთავარი სპეციალისტი (Iკატეგორია) და წამყვანი სპეციალისტი, რომლებიც ასრულებენ სამსახურის უფროსის ცალკეულ მითითებებს, დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე;“.